<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლის 1. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 49) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და/ან ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები, იდება სახელმწიფოსა და მხოლოდ სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერსა ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის, ამ კანონის მე-10 მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ტენდერისა და აუქციონის ჩატარების პირობები იდენტურად უნდა აისახოს ხელშეკრულებასა და ამ კანონის შესაბამისად გაცემულ სარგებლობის ლიცენზიაში.“

2. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტი:

„3^1. ნავთობისა და გაზის შემცველი იმ თავისუფალი წიაღით სარგებლობის უფლებები, რომელზეც არც ერთ ინვესტორს არა აქვს მინიჭებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელების უფლება, შეიძლება, სააგენტოს მიერ დადგენილი შესაბამისი ხელმოწერის ბონუსის გადახდის საფუძველზე და სააგენტოს მიერ დადგენილი პირობებითა და წესით, ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და/ან ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის მიზნით, ტენდერისა და/ან აუქციონის გარეშე, გადაეცეს ინვესტორს, რომლის ფართობი უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ თავისუფალ წიაღს, თუ:

ა) ფართობზე არსებული ბუნებრივი რეზერვუარის საზღვრები სცდება ფართობის საზღვრებს და გადადის თავისუფალი წიაღის შესაბამის ნაწილზე, და/ან

ბ) ფართობზე დაგეგმილი კონკრეტული ნავთობისა და გაზის ოპერაციის განხორციელება შეუძლებელია ინვესტორისათვის თავისუფალი წიაღის შესაბამისი ნაწილით სარგებლობის უფლების გადაცემის გარეშე, და/ან

გ) თავისუფალი წიაღის შესაბამისი ნაწილით სარგებლობის უფლების ინვესტორისთვის გადაცემა აუცილებელია სხვა საფუძვლიანი გეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

3^2. ნავთობისა და გაზის შემცველი თავისუფალი წიაღით სარგებლობის უფლებების ამ მუხლის 3^1 პუნქტით მინიჭების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს ყველა იმ ინვესტორს, რომლის ფართობი უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ თავისუფალ

წიაღს, რათა დაინტერესების შემთხვევაში მათ ქონდეთ გონივრული ვადა შესაბამისი განაცხადების წარმოსადგენად.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**